ხელშეკრულება სატელეფონო მომსახურების შესყიდვის შესახებ N0701 /10/006

წინამდებარე ხელშეკრულება სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება") დადებულია 2011 **წლის 12 იანვარს.**

ერთის მხრივ, ს.ს. „სილქნეტი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. #95, საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978 (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების და მომსახურების ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის დირექტორის ალექსანდრა ჩიქავას სახით, და

მეორეს მხრივ, დიდუბე–ჩუღურეთის რაიონის გამგეობა, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, აკ. ბელიაშვილის ქ. დასაწყისი საიდენტიფიკაციო კოდი:202171167, (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი გამგებლის რამაზ სულამანიძის სახით , შორის.

(ცალ–ცალკე, „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოიხსენიებიან, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები")

1. „ხელშეკრულების" საგანი

წინამდებარე „ხელშეკრულების" საფუძველზე, მისი პირობების და ტარიფების გათვალისწინებით „მომწოდებელი" „შემსყიდველს " უწევს გარკვეულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებას (შემდგომში „მომსახურება"). კონკრეტული „მომსახურების" დეტალური აღწერა და „მომსახურების" შესაბამისი ტარიფები მოცემულია წინამდებარე „ხელშეკრულების" დანართების სახით, რომელიც წარმოადგენს ამ „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.

(CPV კოდი 64212000)

2. „ხელშეკრულების" მოქმედების ვადა და „მომსახურების" გააქტიურება

2.1. წინამდებარე „ხელშეკრულება" ძალაში შედის 2011 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. წინამდებარე „ხელშეკრულება" ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად იგივე ვადით, თუკი არ მოხდა მისი შეწყვეტა რომელიმე „მხარის" მიერ „ხელშეკრულების" ვადის გასვლამდე [30] დღით ადრე.

2.2. „მომსახურების" გააქტიურება ხორციელდება „მხარეებს" შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3. „მომსახურების" ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1632.00 (ერთიათასექვსასოცდათორმეტი) ლარს.

3.2. „მიმწოდებლის " მიერ „შემსყიდველისათვის" მიწოდებული კონკრეტული „მომსახურების" ყოველთვიური ღირებულება განისაზღვრება წინამდებარე „ხელშეკრულების" დანართების საფუძველზე (შემდგომში „მომსახურების ღირებულება").

3.3. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული შესაბამისი „მომსახურების" დანართით, ყოველთვიური „მომსახურების ღირებულების" გადახდა „მიმწოდებლის" მიერ უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, შესაბამისი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. „მომსახურების ღირებულების" გადახდის ვადის გადაცილების შემთვევაში „მიმწიდებელი" უფლებამოსილია „შემსყიდველს" დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%–ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

3.4 „მხარეთა" შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით „კომპანიის" ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

3.5. „მხარეები" თანხმდებიან, რომ „მომსახურების ღირებულების" ცვლილებები ხორციელდება „მიმწოდებლის" მიერ ერთპიროვნულად და ცალმხრივად. ცვლილებები ძალაშია მისი საჯარო გამოცხადებიდან, ან/და „მიმწოდებლის" ვებ–გვედზე განთავსებიდან ან/და „შემსყიდველისათვის" შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის შემდეგ.

4. „მხარეთა" უფლება–მოვალეობები

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1.1. „შემსყიდველს" მიაწოდოს ხარისხიანი „მომსახურება" წინამდებარე „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.1.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებები.

4.2.2. „მომსახურების“ მიღების უფლების მესამე პირებზე გადაცემის შესახებ წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს“.

4.2.3. „მომსახურების“ მიწოდების ადგილად რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისების ან/და უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლების შეწყვეტის შემთხვევაში, ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს „მომსახურებით“ სარგებლობის უფლების გადაცემა უძრავი ქონების ახალ მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე (რომელიც „შემსყიდველს“ ჩაენაცვლება წინამდებარე „ხელშეკრულებაში“), ან/და წერილობით მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ „მომსახურების“ მიწოდების მისამართის ცვლილება ან „მომსახურების“ მიწოდების შეწყვეტა ამ „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად;

4.2.4. 30 დღით ადრე წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ მისთვის არასასურველი „მომსახურების“ შეზღუდვის ან/და შეწყვეტის შესახებ.

4.2.5. აირჩიოს მისთვის სასურველი „მომსახურების“ პაკეტი.

4.2.6. შეატყობინოს „მიმწოდებელს“ დაზიანების შესახებ.

4.2.7. უზრუნველყოს შესაბამისი პირობები და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს „მიმწოდებელს“ „მომსახურების“ მოსაწყობად აუცილებელი სამუშაოების შესასრულებლად.

4.2.8. ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ამ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებები.

4.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

4.3.1. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ „მომსახურების ღირებულების“ გადახდა და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება.

4.3.2. „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულების“ 4.2.2. და 4.2.3. პუნქტებით განსაზღვრული პირობის გამოუყენებლობის შემთხვევაში, მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ მიღებული „მომსახურების“ საფასურის გადახდა და მის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, „ხელშეკრულების“ შესაბამისად განახორციელოს „მომსახურების“ შეზღუდვა ან/და შეწყვეტა.

4.3.3. „მიმწოდებლის“ მიერ 4.2.7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“.

4.3.4. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

4.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

4.4.1. „შემსყიდველი“ 30 დღით ადრე გაკეთებული წერილობითი შეყობინების საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“;

4.4.2. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

4.4.3. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

4.4.4 წინამდებარე ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების ინსპექტირებას ,,შემსყიდველის“ მხრიდან ახორციელებს დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა. გამგეობის აპარატის უფროსის ანა გამყრელიძის სახით

5. „მომსახურების“ მიწოდების შეზღუდვისა და შეწყვეტის პირობები

5.1. „მიმწოდებლის“ მიერ „მომსახურების ღირებულების“ დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია შეუზღუდოს ან/და შეუწვიტოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“ „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ “რეგლამენტის“ (შემდგომში „რეგლამენტი“) შესაბამისად.

5.2. ნებისმიერი „მხარე“ უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ 30 დღით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ მეორე „მხარე“ მნიშვნელოვნად არღვევს ამ „ხელშეკრულების“ პირობებს და თუკი ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება „მხარის“ მიერ მეორე „მხარისათვის“ შეტყობინების გაგზავნიდან 30 დღის განმავლობაში.

5.3. ნებისმიერი „მხარე“ უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ იმ შემთვევაში თუ ა) „მხარე“ გახდება გადახდისუუნარო და ბ) „მხარის“ მიმართ აღიძვრება გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის პროცედურა.

5.4. წინამდებარე „ხელშეკრულების“ ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტისას „შემსყიდველი“ ვალდებულია 30 დღის განმავლობაში სრულად აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ მის მიერ მიღებული „მომსახურების“ ღირებულება.

6.დაზიანების აღმოფხვრის პირობები და ვადები, „მომსახურებასთან“ დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა

დაზიანების აღმოფხვრა და „მომსახურებასთან“ დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა ხორციელდება „რეგლამენტში“ მოცემული ვადების და პირობების შესაბამისად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მიუხედავად ამ „ხელშეკრულების“ სხვა დებულებებისა, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „კომპანიის“ პასუხისმგებლობის (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზიანს, ზარალს ან/და

პასუხისმგებლობას) მაქსიმალური ოდენობა „შემსყიდველის“ წინაშე განისაზღვრება ამ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „მომსახურების“ 12 თვის ღირებულებით.

7.2. „მიმწოდებელი“ არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა „მიმ“ მიერ „მომსახურების“ ან/და „ტექნიკური საშუალებების“ მეშვეობით მიღებულ ან/და გაგზავნილ (გატარებული) ინფორმაციაზე/მასალაზე.

7.3. „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას „მხარე“, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას შეესრულებინა/ჯეროვნად შეესრულებინა ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნულ დაუძლეველ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ქარბუქი და სხვა, ეპიდემია, პანდემია, სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, გაფიცვა, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი, საჰაერო საგნის ზემოქმედება, საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები, „კომპანიის“ ავარიული სიტუაცია, თუ ეს ავარიული სიტუაცია შეიქმნა „კომპანიისგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო და სხვა (მესამე პირის ბრალეული ქმედება და სხვა) (ფორს-მაჟორული გარემოებები).

8. ტექნიკური საშუალებების გადაცემა და მათი გამოყენების წესი

8.1. „მიმწოდებელმა“ შესაძლოა მისი ამ „ხელშეკრულებით“ (შესაბამისი დანართებით) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნებისთვის „მიმწოდებელმა“ დროებით სარგებლობაში გადასცეს ტექნიკური საშუალებები (შემდგომში „ტექნიკური საშუალებები“) და უზრუნველყოს ტექნიკური საშუალებების სათანადო მონტაჟი შემსყიდველთან.

8.2. „ტექნიკური საშუალებების“ შემსყიდველისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება და დასტურდება შესაბამის მიღება–ჩაბარების აქტზე (შემდგომში „მიღება-ჩაბარების აქტი“) მხარეთა ხელმოწერით. „მიღება–ჩაბარების აქტში“ აღნიშნული იქნება „ტექნიკური საშუალებების“ დასახელება. „ტექნიკური საშუალებების“ „მიმწოდებლისთვის“ გადაცემისას, „მიმწოდებელს“ ჩაუტარდება „ტექნიკური საშუალებების“ სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) ინსტრუქტაჟი. „მიღება–ჩაბარების აქტზე“ შემსყიდველის ხელმოწერა ადასტურებს, რომ:

(I) “შემსყიდველს” გადაეცა ტექნიკური საშუალებები ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში;

(II) “შემსყიდველისათვის” დამონტაჟდა „ტექნიკური საშუალებები“ და ისინი გამართულად მუშაობენ; და

(III)“აბონენტს” ჩაუტარდა “ტექნიკური საშუალებების” სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) ინსტრუქტაჟი და რომ “შემსყიდველმა” გაიგო და ზუსტად იცის “ტექნიკური საშუალებების” სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) წესები.

8.3. წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „მხარეები“ ადასტურებენ, რომ “ტექნიკური საშუალებები წარმოადგენენ „შემსყიდველის“ საკუთრებას. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით მოშლის ან მისი მოქმედების სხვაგვარი შეწყვეტის შემთხვევაში, „შემსყიდველის“ ვალდებულია დაუბრუნოს „მიმწოდებელი“ „ტექნიკური საშუალებები“ ამ „ხელშეკრულების“ მოქმედების შეწყვეტიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში, რაზედაც „მხარეთა“ მიერ ხელი მოეწერება შესაბამის მიღება–ჩაბარების აქტს. „ტექნიკური საშუალებების“ „მიმწოდებლისაგან“ მიღებამდე, „მიმწოდებელი“ ამოწმებს „ტექნიკურ საშულებებს“ და თუ „მომწოდებელს“ გაუჩნდება რაიმე პრეტენზია „ტექნიკური საშუალებების“ მდგომარეობის (დაზიანება/განაგდურება) გამო (ტექნიკური საშუალებების სათანადო გამოყენებით (ექსპლუატაციით) გამოწვეული ცვეთის გათვალისწინებით), „შემსყიდველი“ ვალდებულია “მიმწოდებელი” გადაუხადოს ჯარიმა „ტექნიკური საშუალებების“ გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული „ტექნიკური საშალებების“ ღირებულების ოდენობით (შემდგომში „ტექნიკური საშუალებების ჯარიმა“). იმ შემთხვევაში თუ ამ „ხელშეკრულების“ მოშლის ან მისი მოქმედების სხვაგვარი შეწყვეტის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ არ დაუბრუნებს მიმწოდებელი „ტექნიკურ საშუალებებს“ ამ „ხელშეკრულების“ მოქმედების შეწყვეტიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში, ჩაითვლება, რომ „ტექნიკური საშუალებები“ განადგურებული ან დაკარგულია და „შემსყიდველი“ ვალდებულია „მიმწოდებელს“ გადაუხადოს „ტექნიკური საშუალებების ჯარიმა“. ამასთანავე „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ტექნიკური საშუალებების ჯარიმის“ გადახდა არ ათავისუფლებს „შემსყიდველს“ “ტექნიკური საშუალებების“ „მიმწოდებლისათვის“ დაბრუნების ვალდებულებისაგან.

9. საინფორმაციო უზრუნველყოფა, ცვლილებების შეტანა და მარეგულირებელი კანონმდებლობა

9.1. “შემსყიდველს” „მომსახურებასთან“ დაკავშირებული საკითხების გასარკვევად და შესაბამისი ინფორმაციების მისაღებად შეუძლია დაუკავშირდეს “კომპანიის” ცხელ ხაზს (100 200).

9.2. "ხელშეკრულებაში" ან/და მომსახურების წესში, ასევე ტარიფების ცვლილებები ხორციელდება "კომპანიის" მიერ ერთპიროვნულად და ცალმხრივად. ცვლილებები ძალაშია მისი საჯარო გამოცხადებიდან ან/და "შემსყიდველისათვის" შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის შემდეგ. თუ "მიმწოდებელი" არ ეთანხმება ახალ პირობებს, მას უფლება აქვს აღნიშნული 10 (ათი) დღის განმავლობაში მოშალოს „ხელშეკრულება". აღნიშნულ ვადაში, „მიმწოდებლის" წერილობითი უარის მიუღებლობა ჩაითვლება „შემსყიდველს" აქცეპტად და წინამდებარე „ხელშეკრულება" გაგრძელდება ახალი (შეცვლილი) პირობებით.

9.3. წინამდებარე "ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.4. ამ "ხელშეკრულებასთან", ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება "მხარეებს" შორის მოლაპარაკების გზით.

9.5. იმ შემთხვევაში, თუ "ხელშეკრულებასთან", ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება "მხარეებს" შორის ამგვარი დავის ან უთანხმოების წარმოშობიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, "მხარეები" კანონით დადგენილი წესით მიმართავენ სასამართლოს. ამასთანავე „მხარეები" თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ „კომპანიის" სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

10. საერთო პირობები

10.1. „მომსახურების" გაწევა ხორციელდება სადემარკაციო წერტილამდე (ანუ იმ ვირტუალურ წერტილამდე, სადაც ხდება მხარეთა პასუხისმგებლობის გამიჯვნა).

10.2. „მიმწოდებელი" არ არის პასუხისმგებელი შემსყიდველის მიერ ქსელში გადაცემულ ინფორმაციაზე; მომსახურების ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია „მიმწოდებლის" ლოკალური ქსელის გაუმართაობით; ვირუსული პრობლემებით ან/და თუ „შემსყიდველს" სუბიექტური მოლოდინი და მოთხოვნა აღემატება „ხელშეკრულებით" განსაზღვრულ „მომსახურების" ხარისხსა და მახასიათებლებს.

10.3. „შემსყიდველი" აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები, მათ შორის მისი რეკვიზიტები, სწორია.

10.4. შემსყიდველი აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება კომპანიის მომსახურების წესსა და ტარიფებს;

10.5. შემსყიდველი თანხმობას აცხადებს მის მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები შეყვანილ იქნას კომპანიის მონაცემთა ბაზაში;

10.6. თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული შესაბამისი „მომსახურების" დანართით, ამ ხელშეკრულებით შემსყიდველი ყიდულობს „მომსახურებას" და მას საკუთრებაში არ გადაეცემა რაიმე ტექნიკური მოწყობილობა ან/და ნივთი, მათ შორის, ნუმერაციის რესურსი (ტელეფონის ნომერი), რომლის სარგებლობის უფლების მინიჭებაც ხდება შემსყიდველისათვის;

10.7. ახალი ან/და გაფართოებული „მომსახურების" გაწევის შესახებ „მიმწოდებელს" და „შემსყიდველს" შორის იდება დამატებითი ხელშეკრულება ან/და ფორმდება შესაბამისი „მომსახურების" დანართი.

10.8. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

10.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად და გადაეცემათ მხარეებს.

მიმწოდებელი: ს.ს."სილქნეტი"
მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N: 95
საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978
ბანკი: "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
საანგარიშსწორებო ანგარიშის N: 878415000

კორპორატიული გაყიდვების და მომსახურების ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის დირექტორი

ალექსანდრა ჩიქოვანი

შემსყიდველი:დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა
მისამართი:ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. დასაწყისი
საიდენტიფიკაციო კოდი:202171167
ბანკი:სს „ლინბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: 220101480
საანგარიშსწორებო ანგარიშის N:GE 95 LB 0125152101627000

გამგებელი

რამაზ სულამანიძე

დანართი 1

ტარიფები მოცემულია დღგ–ს ჩათვლით

ყოველთვიური სააბონენტო:

ყოველთვიური სააბონენტო ერთ ფიქსირებულ სატელეფონო ნომერზე - 10 .00 ლარი, რაც მოიცავს ულიმიტო ადგილობრივ და საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირს სს „სილქნეტის“ ქსელში.
ყოველთვიური სააბონენტო ერთ PRI სატელეფონო ნომერზე-2.00 ლარი

სხვა სატელეფონო კომპანიის ადგილობრივი ფიქსირებული ქსელის ოპერატორებთან კავშირის ღირებულება 1 წუთი - 0.04 ლარი
საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ღირებულება სხვა სატელეფონო კომპანიის ფიქსირებული ქსელის ოპერატორებთან 1 წუთი – 0.06 ლარი
მობილურ ოპერატორებთან კავშირის ღირებულება 1 წუთი – 0.32 ლარი.
მობილურ ოპერატორებთან კავშირის ღირებულება 8–16–0 საშუალებით 1 წუთი 0.25 ლარი.

,,აბონენტი“ გაითიშება ცალმხრივად და დაერიცხება ჯარიმა 1(ერთი) ლარი. თუ დავალიანების დაფარვა არ მოხდა თვის ბოლომდე, მომდევნო თვის პირველ რიცხვში ,,აბონენტს“ კვლავ დაერიცხება ჯარიმა 1 (ერთი) ლარის ოდენობით. დავალიანების დაფარვა არ მოხდა მეორე თვის ბოლომდე, მესამე თვის პირველ რიცხვში ,,აბონენტს“ კვლავ დაერიცხება ჯარიმა 1 (ერთი) ლარი და გაითიშება ორ მხრივად.

მიმწოდებელი: ს.ს."სილქნეტი"
მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N: 95
საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978
ბანკი: "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
საანგარიშსწორებო ანგარიშის N: 878415000

შემსყიდველი:დიდუბე–ჩუღურეთის გამგეობა
მისამართი:ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. დასაწყისი
საიდენტიფიკაციო კოდი:202171167
ბანკი:სს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: 220101480
საანგარიშსწორებო ანგარიშის N:GE 95 LB 0125152101627000

კორპორატიული გაყიდვების და მომსახურების ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის დირექტორი

ალექსანდრა ბერეკაშვილი

გამგებელი

რამაზ სულამანიძე

დანართი №2

სატელეფონო ნომრები

32378555	PRI	32378771	PRI
32378753	PRI	32378772	PRI
32378754	PRI	32378773	PRI
32378755	PRI	32378774	PRI
32378756	PRI	32378775	PRI
32378758	PRI	32378776	PRI
32378759	PRI	32378779	PRI
32378760	PRI	32378780	PRI
32378761	PRI	32378781	PRI
32378762	PRI	32378782	PRI
32378763	PRI	32378783	PRI
32378764	PRI	32378784	PRI
32378765	PRI	32378785	PRI
32378766	PRI	32378786	PRI
32378768	PRI	32378788	PRI
32378769	PRI	32378789	PRI
32378770	PRI		

32951601 ტელ.ელ
32951893 ტელ.ელ
32954081 ტელ.ელ
32342749 ტელ.ელ
32515608 ტელ.ელ
32955257 ტელ.ელ
32955574 ტელ.ელ

ქ. თბილისის დიდუბე–ჩუღურეთის
რაიონის გამგებელი

რამაზ სულ[illegible]

/ხელმ[illegible]/

კორპორატიული გაყიდვების
და მომსახურების

ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის
დეპარტამენტის დირექტორი

ალექსანდრა ჩ[illegible]

/ხ[illegible]/

წერილი
სახელმწიფო შესყიდვის
(ხელშეკრულება №0701/10/006 12.01.2011 წელი)
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ.

ქ.თბილისი 12 იანვარი 2011 წელი

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ჩვენი მონაწილეობა ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობისთვის სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

1. რაიონის გამგებელი — რ. სულამანიძე

2. გამგეობის აპარატის უფროსი — ა. გამყრელიძე